ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

24.03.2026 წელი
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე, ირაკლი ცინცაძე, ვერიკო კვირკველია, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გოჩა ჯანაშია და ტატო ურუშაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი **ოთარ ზენაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი **ალექსანდრე კირვალიძე.**

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს და მწუხარება გამოთქვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს გარდაცვალების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში კომისიას გააცნო **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ, 2025 წლის 12 თვის განმავლობაში, გაფორმებული იქნა 234 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის მომსახურების, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ინვენტარის (საქონელის) შესაძენად. აქედან ელექტრონული ტენდერის ფორმით 58 ხელშეკრულება გაფორმდა; გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმდა 15 ხელშეკრულება; სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების, შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით 16 ხელშეკრულება, ხოლო დანარჩენი 145 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის ფორმით. 2025 წელს სულ გამოცხადებული იქნა 47 ელექტრონული ტენდერი, აქედან 11 ელ. ტენდერს მიენიჭა სტატუსი „არ შედგა", 3 ელ. ტენდერს „დასრულდა უარყოფითი შედეგით" და 33 ელ. ტენდერს „ხელშეკრულება დადებულია".

2025 წლის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წლიურმა გეგმამ შეადგინა 28 026 450 (ოცდარვამილიონ ოცდაექვსიათას ოთხასორმოცდაათი) ლარი. საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 2 903 399 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 24 819 870 ლარს. სახელმწიფო გრანტი/კრედიტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 303 181 ლარს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის 2025 წელს გამოცხადდა 12 ელექტრონული ტენდერი საერთო ღირებულებით 830 622 ლარი. მუნიციპალიტეტისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე, ასევე მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების პროგრამებით განსახორციელებელ სამუშაოებზე 2025 წელს დაკონტრაქტდა 138 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 2 264 381 ლარი, აქედან ელექტრონული ტენდერის ფორმით დაკონტრაქტდა 34 ხელშეკრულება, ხოლო 104 ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7 757 464 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5%-იანი თანადაფინანსება შეადგენს 469 486 ლარს და ჯამში შეადგენს 8 044 950 ლარს შემდეგი სამუშაოების განსახორციელებლად:

1. ქ. ლანჩხუთში ბაგრატიონის, ზესიკის , გოგებაშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ. ებრალიძის, საფო მგელაძის ჩაჩავასა და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია - 820 436 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

2. ქ. ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - 1 831 301 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაცია - 2 544 683 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ. ხიდმაღალაში შიდა სასოფლო გზის და სოფ შრომისუბანსი-მოედნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 2 245 723 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის, ჩიბათის, ქალაქის, სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მშენებლობა - 602 807 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე 2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 10 000 000 ლარი, 2024 წელს გამოცხადებული მრავალწლიანი შესყიდვის საფუძველით, განსახორციელებელი სამუშაოების გასაგრძელებლად. დამატებით მუნიციპალიტეტს კიდევ გამოეყო 1 100 000 ლარი რომლის ფარგლებშიც გამოცხადდა 3 ელექტრონული ტენდერები

მრავალწლიანი შესყიდვის ფორმით, ჯამში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში 2024-2025 წლებში დაკონტრაქტდა 12 ხელშეკრულება საერთო ჯამური ღირებულებით 32 025 328 ლარი. დეტალურად ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ N 1 ში.

2025 წლის თებერვლის თვეში მომხდარი სტიქიის (დიდთოვლობა) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით გამოეყო 7 365 000 ლარი. აღნიშნული განკარგულების ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გააფორმა 3 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვის ფორმით. სამუშაოები დასრულებულია.

საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2025 წელს გამოეყო 1 226 303 ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით გამოიყო 330 000 ლარი. სამუშაოები დაკონტრაქტებული არის 25 ხელშეკრულებად, აქედან ელექტრონული ტენდერის ფორმით დაკონტრაქტდა 4 ხელშეკრულება, ხოლო 21 ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით. სამუშაოები დასრულებულია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ შორის, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი "ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი" (CESL) ფარგლებში 2024 წელს გაფორმდა მემორანდუმი, კოლხეთის დაბლობზე ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, განხორციელდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ვიზიტორთა ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოები, ღირებულებით 262 931 ლარი. ასევე ვიზიტორთა ცენტრის შენობის საოფისე ინვენტარით აღჭურვისთვის გაფორმდა 3 გამარტივებული ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 40250 ლარი.

როლანდ ლაშხიამ ასევე აღნიშნა, ის ფაქტიც, რომ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ აუდიტის მიერ ხდება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შემოწმება და არც ერთხელ არ გამოვლენილა რაიმე ტიპის ხარვეზი და არ გამოთქმულა შენიშვნა.

კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს შესყიდვების განყოფილებისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსებს გაწეული მუშაობისთვის.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო **ალექსანდრე კირვალიძემ.** მან წარმოადგინა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა და ისაუბრა სოფლებში განსახორციელებელ ყველა იმ პროექტზე, რომლებიც მოსახლეობის მიერ იქნა

შერჩეული. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ[illegible]ოექტების დასაფინანსებელი თანხა საერთო ჯამში შეადგენს 748000 ლარს.

ალექსანდრე მახათაძე დაინტერ[illegible]და, თუ რამდენით იყო განსაზღვრული გზების რეაბილიტაციის თანადაფინანსების თანხა, რაზეც რ[illegible]ანდ ლაშხიამ გააკეტა განმარტება და აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით თანადაფინანსების თან[illegible]მეტია და შეადგენს 450000 ლარს.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავში[illegible]ბით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი [illegible] პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გან[illegible]არგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი [illegible]ანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ [illegible]ორმაცია კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის [illegible]უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი [illegible]ითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდ[illegible]ის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებ[illegible] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს დაევალა ერთი თვის ვადაში შეადგინოს: საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრის განრიგი; ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტის ნუსხა; კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი); რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ასევე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტ[illegible]რაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნდა უზრუნველყოს მუ[illegible]ციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამ[illegible]შაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება[illegible]ან ასევე აღნიშნა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტის ძირითადი მიმართულებები უცვლელი რჩება [illegible]ა მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პი[illegible]ბების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრე[illegible]ს წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, [illegible]ომ სურვილის შემთხვევაში დეპუტატებს შეუძლიათ ჩაერთონ ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავში[illegible]ებით შექმნილი ჯგუფის მუშაობაში.
წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დრის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ ინფორმაცია კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №2

ქ. ლანჩხუთი 24.03.2026 წელი

2026 წლის 24 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

4. სხვადასხვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ ინფორმაცია მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.03.2026 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	
2	ირაკლი ცინცაძე	10 58	
3	გიორგი ჩახვაძე	[illegible]	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
5	ტატო ურუშაძე	10 55	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 58	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	10 59	
8	ვერიკო კვირკველია	11 00	
9	გოჩა ჯანაშია	10 55	